ლელო

საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და
ტურიზმის სამინისტროს გაზეთი

24 ოქტომბერი, შაბათი, 1992 წ.
№ 62 (10719) ● ფასი 2 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროში

როგორც ვიუწყებოდით, საქართველოში დაიწყო ლილეჰამერში ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი დელეგაციის მონაწილეობისათვის სამზადისი. პირველად სწორედ ამ ოლიმპიადაზე წარდგება დამოუკიდებლად საქართველო, რაც დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. 1996 წელს კი ატლანტაში ვიასპარეზებთ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. ამ ღონისძიებებისათვის მზადების საკითხები განიხილეს გუშინ საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის გაფართოებულ სხდომაზე. მიღებული დადგენილებით შეიქმნა თამაშებისათვის მზადების ხელმძღვანელობის ოპერატიული შტაბი, რომელიც ყოველკვარტალურად სამინისტროს და სეოკს აცნობებს გაწეული მუშაობის შესახებ. სპორტული ფედერაციები თავის რიგგარეშე ყრილობებზე განიხილავენ თამაშებისთვის მზადებასთან დაკავშირებულ პრობლემებს, შეიმუშავებენ პროგნოზებს და დასახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მის სარეალიზაციოდ. ფედერაციები 1 დეკემბრამდე შეიმუშავებენ ნაკრები გუნდების მზადების პერსპექტიულ გეგმებს, სადაც გათვალისწინებული იქნება სპორტსმენთა სამედიცინო მომზადება, სავარჯიშოდ საუკეთესო პირობების შექმნა, სპორტული ფორმით და ინვენტარით, მაღალკალორიული კვებით უზრუნველყოფა და ა. შ. კვარტალში ერთხელ მოისმენენ ნაკრები გუნდების უფროს მწვრთნელთა ანგარიშს. ფედერაციები საკითხების განხილვისას განუხრელად იხელმძღვანელებენ საჯაროობის, კოლეგიალობის, შემოქმედებითი თანამშრომლობის პრინციპებით.

კონკრეტული დავალებები მიიღეს სპორტულმა საზოგადოებებმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტებმა, სხვა ორგანიზაციებმა.

მიიღეს ცნობად, რომ სპორტის ზამთრის სახეობების რესპუბლიკურმა ფედერაციამ (პრეზიდენტი ს. ხაბეიშვილი) განახორციელა ღონისძიებები იმპორტული ინვენტარის შესაძენად და საზღვარგარეთ სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობისთვის ნაკრები გუნდების სავალუტო სახსრებით უზრუნველსაყოფად.

დღეს რესპუბლიკაში შექმნილია საგანგებო ვითარება. ამასთან დაკავშირებით კოლეგიამ იმსჯელა სამობილიზაციო მზადყოფნისა და თავდაცვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ. განიხილეს აგრეთვე სამინისტროს დაწესებულებებისა და ორგანიზაციების პასპორტიზაციის, სახელმწიფო-კომერციულ ფირმა „გავაზის“ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის კონტროლის პალატის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგები და სხვა საკითხები.

კოლეგიამ დაამტკიცა: გორის სასტუმრო ინტურისტის დირექტორად დ. მაკასარაშვილი, ბორჯომის სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსის დირექტორად ჯ. ბერიძე, საჩხერის ტურისტული სააგენტოს დირექტორად ბ. ხარაზოვი, ქობულეთის სასტუმრო „კოლხეთის“ დირექტორად შ. ნიჟარაძე.

„ჩაუქს“ ეხმარებიან

მოსახლეობის ფიზიკური გაჯანსაღების სრულიად საქართველოს ასოციაციის რამდენიმე კლუბი უკვე შეუდგა პრაქტიკულ მუშაობას. ხელშეწყობის კარგ მაგალითს იძლევა რესპუბლიკის კომუნალური გაერთიანების სპეციალიზებული სამშენებლო-სარემონტო სამმართველო (უფროსი ბიძინა კვანტალიანი), რომელმაც დიდი დიღმის მოსახლეობის გამაჯანსაღებელ კლუბ „ჩაუქს“ დახმარება აღუთქვა კლუბისთვის გამოყოფილი არასაცხოვრებელი ფართობის (გიორგი ბრწყინვალეს, 5-ა) კეთილმოწყობაში. კლუბს დიდი დახმარება გაუწია აგრეთვე თბილისის საპროექტო არქიტექტურულ-დაგეგმითმა სამმართველომ, რომლის არქიტექტორმა შოთა გვანცელაძემ უსასყიდლოდ დაამუშავა აღნიშნულ მისამართზე კლუბის განთავსების პროექტი.

უჩვეულო გამოცოცხლება სუფევდა ქუთაისისა და იმერეთის ზოგიერთი სხვა რეგიონის სპორტულ ბაზებზე: რესპუბლიკაში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ ქალაქის სპორტისა და ტურიზმის განყოფილებასა და სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ საქალაქო საბჭოსთან ერთად 6 ოქტომბერს, სეოკ-ის დაარსების სამი წლისთავზე, გამართა მასობრივი სპორტული ღონისძიებანი სხვადასხვა სახეობაში. ჩატარდა საქალაქო პირველობანი ფეხბურთში, ბალახის ჰოკეიში, რაგბიში, ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკში, ნარდში, მკლავჭიდში, საწონების აწევაში და სხვა. მოეწყო ტურნირები ქალაქის ფიზკულტურულ კოლექტივებში, სპორტსკოლებში...

ეს ინფორმაცია და ფოტომასალა მოგვაწოდა სეოკ-ის იმერეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარემ რ. რობაქიძემ.

ა. ლაშქარაშვილის ფოტოები.

იუბილარის პრიზი— ხვიჩა ქორიძეს

ესტონელები პატივს სცემენ წარსულის სახელოვან სპორტსმენებს და სისტემატურად აწყობენ მათი სახელობის საერთაშორისო ტურნირებს. ერთი ასეთი შეჯიბრება გაიმართა ამ დღეებში ტალინში. მიეძღვნა იგი ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ძველ ოსტატს კრისტიან პალუსალუს. ტურნირში მონაწილეობდნენ შვეციის, ფინეთის, რუმინეთის, პოლონეთის, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, ლიტვის, ლატვიის, უზბეკეთის, საქართველოსა და ადგილობრივი ათლეტები.

გუნდური ასპარეზობა ბელარუსმა მოჭიდავეებმა მოიგეს. საქართველოს ნაკრები მცირედით ჩამორჩა გამარჯვებულს და მეორე ადგილზე გავიდა. ტურნირის მთავარი პრიზი, რომელიც იუბილარის სახე ატარებდა, განკუთვნილი იყო მძი წონაში გამარჯვებული მოჭიდავი თვის. ეს ჯილდო მიიღო ჩოხატა რელმა მოჭიდავემ, „მართვეს“ წ რმომადგენელმა ხვიჩა ქორიძე 100 კგ-ში II ადგილი ასევე ჩოხატაურელმა ხვიჩა მეფარიშვილმ („მართვე“) დაიკავა.

ამ სპორტსმენთა გარდა საპრიზო ადგილებზე (კერძოდ, მესამეზე) გავიდნენ: 52 კგ. თამაზ ხაზარაშვილი (საგარეჯო, „მართვე“), 57. მოსე ჭაკნელიძე (ოზურგეთი, „მართვე“), 77. გიორგი ჯინჭველაშვილი (ქუთაისი, „შევარდენი“).

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ჯგუფი

გაიმართა ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამოტოვებული ტურის მატჩები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

X ტური

„კახეთი“ (თელავი) — „სამტრედია“ 1:0
„ივერია“ (ხაშური) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1
„დინამო“ (თბილისი) — „დილა“ (გორი) 2:0
„ცხუმი“ (სოხუმი) — „ბათუმი“ 1:2
„შევარდენი-1906“ (თბილისი) — „მრეტები“ (თბილისი) 2:1.

XI ტური

„დილა“ (გორი) — „ცხუმი“ (სოხუმი) 1:0

VIII ტური

„გურია“ (ლანჩხუთი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:0



„დინამო“ — „დილა“.

ანზორ კოჭლამაზაშვილის ფოტო.

კომისია მუშაობს

გრძელდება კომისიის სხდომები, სადაც განიხილავენ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საქართველოში სპორტის სახეობების შემდგომი შენარჩუნების შესაძლებლობის საკითხებს. კომისია კიდევ რამდენჯერმე შეიკრიბება, შემდეგ ჩატარდება გაფართოებული თათბირი ფედერაციებთან, საბოლოოდ კი საკითხს განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს კოლეგია.

წყალი— წყალბურთელთა არსობისა

ცხელი წყლის დეფიციტით გამოწვეული ასპარეზობების კარგა ხნის ვაკუუმის შემდეგ, როგორც იქნა, ჩატარდა საქართველოს წყალბურთელთა პირველობა, რომელსაც ვერეს საცურაო კომპლექსმა უმასპინძლა.

ასპარეზობის მოკლე მიმოხილვა ვთხოვეთ რესპუბლიკის წყალბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს ნუგზარ ერაძეს.

— ეს ჩემპიონატი ჯერ კიდევ აპრილში უნდა გამართულიყო, — თქვა მან, — მაგრამ ენერგოკრიზისმა, რის გამოც აუზში წყალი არ თბებოდა, და აფხაზეთში მიმდინარე ომმა მრავალგზის გადაგვადებინა იგი. პირველობის დღეებმა დაგვანახვა, როგორ მოსწყურებიათ წყალბურთელებს ოფიციალურ ტურნირში გამოსვლა. ტურნირზე სომხეთის წყალბურთელები მოვიწვიეთ კონკურსგარეშე მონაწილეობისათვის და სტუმრები დიდად მადლიერნიც დაგვრჩნენ.

უნდა აღინიშნოს, რომ საშეჯიბრო ვაკუუმს უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია — გუნდებს აშკარად ეტყობოდათ ბრძოლისუნარიანობის დაქვეითება. ამასთან, მსაჯთა პერსონალი და თვით მწვრთნელებიც კი მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ ასპარეზობისთვის და ამით უნდა აიხსნას ის შეცდომები, რომლებსაც ისინი უშვებდნენ შეჯიბრების მსვლელობისას. და კიდევ: თვალნათლივ დავრწმუნდით შეჯიბრების აუცილებლობაში — გუნდებს ყოველდღიურად ემჩნეოდათ წინსვლა. რაც შეეხება გუნდების კლასს, ლიდერების — „დინამოსა“ და თსუ-ს გუნდის გარდა, ყველა საგრძნობლად სცოდავდა სათამაშო დისციპლინის მხრივ. ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო, რომ სუპერფინალში ეს ორი გუნდი დადგა ერთმანეთის პირისპირ. დამაჯერებლად, ანგარიშით 13:9 გაიმარჯვეს დინამოელებმა, რომელთაც ახლახან სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი მეკარე ლერი გოგოლაძე. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში კი „მართვემ“ ერთი ბურთის სხვაობით — 11:10 დაამარცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი.

„ლელოს“ კორ.

სამი წამი, რომელმაც შეძრა სამყარო

20 წლის წინანდელ, უფრო ზუსტად, 1972 წლის 8 სექტემბრის დღე-ღამის ანათვალში არის სამი წამი, რომელმაც შეძრა და გაოგნა სპორტული სამყარო. ამ დღეს მიუნხენში გაიმართა კალათბურთელთა ოლიმპიური ტურნირის ფინალური მატჩი, რომლის შედეგი ორი დღის განმავლობაში ცხარე დებატების საგანი იყო. ამის მიზეზი კი გახლდათ ბრძოლის უკანასკნელი სამი წამი.

...საბჭოთა ნაკრები ამერიკელებთან ფინალურ მატჩში დაწინაურებულია ერთი ქულით და ბურთსაც თვითონ ფლობს. ამ დროს საშა ბელოვი უშვებს უხეშ ტაქტიკურ-ტექნიკურ შეცდომათა მთელ კასკადს: ბურთის გაჩერებისა და დროის გაყვანის ნაცვლად იგი უხერხულად გადის საჯარიმო მოედნის პირითი ხაზისკენ. ორი ნაბიჯის შემდეგ ნახტომში, უკვე ფარს უკან მოქცეული, ჰაერში კარგავს წონასწორობას და ბურთიანად ეშვება იატაკზე, თანაც იღებს საბედისწერო გადაწყვეტილებას — მოედნის ცენტრისკენ აგდებს ბურთს, რომელსაც თავისუფლად ეუფლება ამერიკელი კოლინზი და მარტოდმარტო დარჩენილი დიდი სისწრაფით მიქრის მოწინააღმდეგის კალათისკენ.

საბჭოთა კალათბურთელები დაიბნენ, თანაც მანძილი საკმაოდ დიდი აღმოჩნდა და, გარდა ზურაბ საკანდელიძისა, არავის უცდია ამერიკელს გამოდევნებოდა, თავისი განუმეორებელი სასტარტო სისწრაფის წყალობით ზურაბი სასწაულად წამოეწია უკვე ფარქვეშ მყოფ კოლინზს და მაღალ ნახტომში ბურთის დასაფარებლად „გაფრინდა“. ეს მოძრაობა საოცრად ჰგავდა რვა წლის წინანდელ ერთერთ „გაფრენას“, რომლითაც დაიწყო ზურაბ საკანდელიძის აღმასვლა დიდ კალათბურთში. ორიოდე სიტყვა მის შესახებ:

1964 წლის ზაფხული. მოსკოვი. ლუჟნიკის კალათბურთის ღია სტადიონი. წინაოლიმპიური საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ საზღვარგარეთის, საბჭოთა კავშირის ოლიმპიური და სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდები. ზურაბი „დინამოს“, მე კი „ბურევესტნიკის“ საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში გამოვდივართ. ერთმანეთს ხვდებიან ოლიმპიური ნაკრები და „დინამოს“ გუნდი. ბრწყინვალე შთაბეჭდილებას ტოვებს 19 წლის იუნიორი ზურაბ საკანდელიძე (სხვათა შორის, იმავე წელს მან და ლიტველმა მოდესტას პაულაუსკასმა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი მოიგეს). მაგრამ ერთმა ეპიზოდმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა...

ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს იაკ ლიპსომ მიიღო გრძელი გადაცემა, უკან მოიხედა, დაინახა, რომ საკმაოდ წინ იყო და არავის უცდია დადევნება, წამით შეაჩერა მოძრაობა და ბურთის კალათში ზემოდან „ჩასატენად“ მოემზადა. ეს ილეთი მაშინ ახალი იყო და მას რამდენიმე კალათბურთელი თუ ასრულებდა. ლიპსომ ყველაფერი უზადოდ შეასრულა, ორი ნაბიჯის შემდეგ მაღალ ნახტომში ცალი ხელით შემართა ბურთი კალათის თავზე და, ის იყო უნდა „ჩაეტენა“, რომ საიდანღაც სასწაულად წამოეწია ზურაბი, „გაფრინდა“ ჰაერში, ბურთს ხელი დააფარა და, კალათბურთელები რომ იტყვიან, იგი ფარს მიაწება. დაფარება „სუფთა“ გამოვიდა, ზურაბს საჯარიმოც არ მიუღია. გაოგნებული ლიპსო გარშემო იყურებოდა და ვერაფრით გაეგო, რა მოხდა. საერთოდ, ამ ტურნირზე ზურაბმა ისე კარგად ითამაშა, რომ გადაწყვიტეს მისი ტოკიოს ოლიმპიურ გუნდში ჩარიცხვა, მაგრამ საბუთების გაფორმება აღარ ესწრებოდა...

დავუბრუნდეთ ისევ მიუნხენს... ზურაბმა ბურთს „სუფთად“ კი დააფარა. მაგრამ მსაჯებმა ჩათვალეს, რომ ტანით დაარღვია თამაშის წესები და დააჯარიმეს. თამაშის დამთავრებამდე რჩებოდა სამი წამი. ამერიკელმა კოლინზმა შესაშური სიმშვიდე გამოიჩინა, ორივე საჯარიმო ზუსტად ტყორცნა და პირველად დააწინაურა თავისი გუნდი ერთი ქულით, სხვათა შორის, ამ ჯარიმების უნაკლოდ შესრულებისთვის კოლინზმა საჩუქრად მიიღო მილიონ-ნახევარი დოლარი.

...საბჭოთა გუნდის მწვრთნელმა კონდრაშინმა აიღო წუთშესვენება და მოიფიქრა ის კომბინაცია, რომელიც ბრწყინვალედ განხორციელდა სამ წამში. ზურაბს რომ არ „გავკეთებინა“ ეს ჯარიმა, თამაში, ცხადია, არ შეჩერდებოდა, ფართან მარტოდმარტო დარჩენილი კოლინზი თავისუფლად ჩააგდებდა ბურთს, აიღებდა ორ ქულას და ამით ყველაფერი დამთავრდებოდა, რადგან საბჭოთა კალათბურთელები ბურთის გამოტანასაც ვეღარ მოასწრებდნენ. ეს გახლდათ ამ ჯარიმის „ოქროს ფასი“, რაზედაც შემდეგში მრავალი სტატია დაიწერა.

...წუთშესვენებაზე ჩაფიქრებული კომბინაცია მართლაც უზადოდ შესრულდა: ივან ედეშკოს გრძელი გადაცემა, საშა ბელოვის შეუდარებელი ნახტომი, რომლითაც მან მიიღო ბურთი საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, წელში მოიხარა, ერთ მუშტად შეიკრა, ფარისკენ შემობრუნდა, შემდეგ ბურთიანად ამოიმართა რამდენიმე ამერიკელ კალათბურთელს შორის და ულამაზეს ნახტომში ბურთი კალათში მოათავსა.

...თითქმის ორი დღე-ღამე მსჯელობდნენ, ჩაეტია თუ არა სამ წამში ეს კომბინაცია. რამდენჯერმე დაწვრილებით შემოწმდა ყველაფერი, რისი შემოწმებაც და გადამოწმებაც შეიძლებოდა და საბოლოოდ გამარჯვებულად გამოცხადდა საბჭოთა კავშირის გუნდი. ასე დამარცხდნენ პირველად ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელი კალათბურთელები. ასევე პირველად ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ საბჭოთა კალათბურთელები, რომელთა შემადგენლობაში გამოდიოდა ორი ქართველი — ზურაბ საკანდელაძე და მიხეილ ქორქია.

აღსანიშნავია, რომ რუსულმა პრესამ თავიდანვე მიჩქმალა ამ გამარჯვებაში ქართველ კალათბურთელთა ღირსეული წვლილი. ორივე სასტარტო ხუთეულში თამაშობდა და ორივემ პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ჩაატარა. შეიძლება ითქვას, რომ იმ ოცმა წუთმა მათ ზურგზე გადაიარა.

მიშა ლომივით იბრძოდა და არ ეპუებოდა მასზე ტანმაღალ ზანგ თავდამსხმელებს. ერთხელ ურთიერთშელაპარაკებისა და წაკინკლავებისთვის ამერიკელთა შორის საუკეთესო ვეება ზანგთან ერთად მასაც დაატოვებინეს მოედანი. მართალია, საბჭოთა გუნდისთვის მიშას წასვლა დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ამერიკელები უფრო დაზარალდნენ.

რაც შეეხება ზურაბს, მის მიმართ ინტრიგებს უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა. ზურაბი ალექსანდრე გომელსკის უსაყვარლესი მოთამაშე იყო. ნაკრების ახალი მწვრთნელი კონდრაშინი კი, რბილად რომ ვთქვათ, „კეთილგანწყობილი“ არ გახლდათ გომელსკისადმი და, შესაბამისად, ზურაბსაც ალმაცერად უყურებდა. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ კონდრაშინმა მიუნხენის ოლიმპიური ტურნირის, არც ერთ მატჩზე იგი ხუთეულში არ დააყენა.

ერთი სიტყვით, ფინალურ შეხვედრამდე ზურაბი მოედანზე საერთოდ არ გამოჩენილა. სწორედ ამიტომ, ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა (პირველ რიგში, ამერიკელთა მწვრთნელებისთვის) მისი ჯვარი ფინალური მატჩის მონაწილეთა სასტარტო ხუთეულში. კონდრაშინის ჩანაფიქრი მართლაც მზაკვრული იყო — მას უგეგმავდნენ მეორე ადგილს, რომელიც უკვე განაღდებული ჰქონდა. ამერიკელებთან მოგებას კი ნაკლებად ვარაუდობდნენ. ამიტომ თავისებურად გასწირა ქართველი კალათბურთელები და მთელი ტურნირის მანძილზე ისინი პირველად დააყენა სასტარტო ხუთეულში (იქნებ იმიტომაც, რომ მერე წაგება მათთვის გადაებრალებინა). ეს ტაქტიკა განსაკუთრებით ზურაბის წინააღმდეგ იყო გათვლილი. კონდრაშინმა, როგორც ძველმა და გამოცდილმა კალათბურთელმა (მის წინააღმდეგ მეც ხშირად მითამაშნია და ჩვენ ყოველთვის ერთმანეთს „ვიჰერდით“), კარგად იცოდა, რომ კალათბურთელი, რომელიც მთელი ტურნირის მანძილზე მოედანზე არ გამოსულა, ამოვარდნილია ფორმიდან, ფინალურ მატჩში ვერაფრით განეწყობა (ვერც ტექნიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად) საბრძოლველად და ბრძოლას უსათუოდ ჩააფლავებდა. მერე კი შედარებით უმტკივნეულოდ დაითხოვდა ნაკრებიდან მისთვის არასასურველ ზურაბ საკანდელიძეს.



ფინალური მატჩის ბოლო სამი წამი, რომელმაც შეძრა სამყარო...

ამიტომ ვფიქრობ, იმ დღეს ზურაბმა ორმაგი გმირობა ჩაიდინა — ჯერ ერთი, ბრწყინვალედ ითამაშა, მეორეც — სული შთაბერა საბჭოთა კალათბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას. დიახ, იმ დღეს მიუნხენში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქართული ვაჟკაცური სული და ის, რომ ზურაბი იყო პლანეტის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელი.

საინტერესოა ისიც, რომ ზურაბი, რომელსაც სათადარიგოთა სკამი არ დაუტოვებია მთელი ტურნირის მანძილზე და ამის გამო არავითარი დატვირთვა არ მიუღია, ფინალურ მატჩში პრაქტიკულად შეუცვლელად ათამაშეს. ამ დაუვიწყარი, ამაღელვებელი და დრამატული ფინალის ბედის ირონია ის გახლავთ, რომ ზურაბ საკანდელიძის დიდი ძალისხმევით მოყვარულთა შორის მსოფლიოს პირველ მწვრთნელად აღზევებული კონდრაშინი ერთ ინტერვიუში იტყვის: ზურაბ საკანდელიძე იმიტომ არ გამომყავდა მოედანზე, რომ ის ჩემი „საიდუმლო იარაღი“ იყო. ღმერთმა შეუნდოს ეს შეცოდება ბატონ კონდრაშინს.

ახლა ორიოდე სიტყვა ამ მატჩის სამარცხვინო ფინალზე. საბჭოთა სპორტის ლიდერებმა ოლიმპიელებს აღუთქვეს, რომ, ვინც ოქროს მედალს ჩამოიტანდა მოსკოვში, ყველას დაუყოვნებლივ, ურიგოდ მიჰყიდიდნენ მსუბუქ ავტომანქანებს— „ვოლგებს“. მოხდა სასწაული — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე საბჭოთა ოლიმპიელებმა ზუსტად 50 ოქროს მედალი ჩამოიტანეს, ბევრად გაუსწრეს ამერიკელებს და ბრწყინვალე რევანში აიღეს მეხიკოს ოლიმპიადაზე გუნდური დამარცხებისთვის. მაგრამ სიტყვის გატეხის მოყვარულმა სპორტის ლიდერებმა ამჯერადაც დაივიწყეს დანაპირები და ალავერდს რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან გადავიდნენ. საქართველოშიც ზურაბ საკანდელიძისთვის ათეული წლების მანძილზე ვერაფრით გაიმეტეს დანაპირები „ვოლგა“.

მიუნხენიდან თბილისში უხმაუროდ დაბრუნდნენ ქართველი ოლიმპიური ჩემპიონები ზურაბ საკანდელიძე და მიხეილ ქორქია. აეროპორტში მათ დახვდნენ მხოლოდ ოჯახის წევრები. არც ერთი წარმომადგენელი — სპორტის, პრესისა და ტელევიზიის სამსახურებიდან. საერთოდ არავინ. ვიწრო ოჯახურ წრეში აღვნიშნეთ ოლიმპიური გამარჯვება. სუფრაზე, ჩვეულებისამებრ, ზურაბს შენიშვნა მივეცი, რომ ბევრი არ დაელია. იგი წამოდგა, მოძებნა ოლიმპიური ოქროს მედალი, მაგიდაზე დადო და მითხრა: „ამდენ ხანს ყველაფერს გიჯერებდი! ჩამოვიტანე ევროპის ხუთი და მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედლები. აჰა, ესეც ოლიმპიური ოქრო, აწი მაინც დამანებე თავი. მეტი რაღა უნდა ჩამოვიტანო?!“

მეც დავეთანხმე და დავანებე თავი. მეტი მართლაც რაღა უნდა ჩამოეტანა?

ანზორ საკანდელიძე,
სპორტის ოსტატი კალათბურთში.

ურეცეპტო წამალი

მეხსიერების ვარჯიში

ასაკოვან ადამიანს გონებრივი საქმიანობის ეფექტურობის დაქვეითება აშინებს. ეს დაავადება ხომ არ არის? ეკითხებიან ისინი თავიანთ თავს. თუ სატკივარია, როგორ დავიცვათ თავი მისგან?

მრავალი წელია მეცნიერები გვარწმუნებენ: დაახლოებით 25 წლის ასაკიდან ტვინი ყოველდღიურად 100 ათასი ნერვული უჯრედის კარგვას იწყებს. დასკვნა? — ტვინის მოქმედების ეფექტურობა განწირულია დასაქვეითებლად. სიბერის სტერეოტიპი დამკვიდრდა მასობრივ შეგნებაში. მაგრამ, აი, თანამედროვე გამოკვლევები საწინააღმდეგოსაც გვიჩვენებს: ასაკთან ერთად ტვინის მოქმედების ეფექტურობის დაქვეითების ალბათობა იზრდება, მაგრამ მეხსიერების ნორმალური დაქვეითება ადამიანის მხოლოდ ზოგიერთ უნარზე ვრცელდება, მაგალითად, — რეაქციის სისწრაფეზე.

როგორ შევუნარჩუნოთ თავის ტვინის უჯრედებს „სპორტული ფორმა“? მეხსიერების განსამტკიცებლად და გონების სიმკვირცხლის გასაძლიერებლად ბევრი რეცეპტი არსებობს. ყველაზე საუკეთესონი ყველაზე ძველია. მათ შორის უმთავრესია, ფიზიკური აქტიურობა. ცნობილია: რაც უფრო აქტიურნი არიან ბავშვები, მით უფრო აშკარაა მათი გონებრივი განვითარების პროგრესი. მარტივ ფიზიკურ დატვირთვასთან შეხამებული მეხსიერების ვარჯიში საშუალებას იძლევა, მნიშვნელოვნად გაძლიერდეს მოხუცთა ტვინის მოქმედება. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ გერმანელი მედიკოსები. მოძრაობა — აი, რა არის მნიშვნელოვანი, თვლიან ისინი. „ტვინის განძრევა“ ყველასთვის სასარგებლოა, ისევე, როგორც ხელ-ფეხის ამოძრავება.

მაქს პლანკის ბერლინის ინსტიტუტის პროფესორის პ. ბალტესის აზრით, 70 წლის შემდეგ სიბერე ნიშნავს აზროვნების სისწრაფისა და სიზუსტის რამდენადმე კლებას, მაგრამ „მესამე ასაკს“ აქვს დაფარული რეზერვები, რომელთა შესახებაც უნდა ვიცოდეთ და რომლებიც უნდა გავააქტიუროთ. ბერლინელ სპეციალისტთა გამოკვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ აზრთა სხვადასხვაობა მოხუცებულობისას ადამიანის გარდაუვალ დეგრადაციაზე მხოლოდ ცრურწმენაა. თუ თქვენ რაიმე დაგავიწყდათ, ეს ფაქტი საგანგაშო კი არ არის, არამედ თქვენგან მოითხოვს გონებისა და სხეულის ვარჯიშს.

ბარსელონა, ოლიმპიადის კურიოზები



რაგბი ● საშინაო მიმოხილვა

ყავლგასული დოგმების ტყვეობაში

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ჯგუფი. „ქორები“ — „ერქვანი“ (ქუთაისი) 0:22, „ხარები“ (რუსთავი) — „ვესტა“ 3:14, „ამირანი“ — „თბილისი“ 22:3, „შევარდენი“ — „ამირანი“ 27:20, „თბილისი“ — „ხარები“ 13:29, „ხარები“ — „შევარდენი“ 6:10, „ამირანი“ — „ერქვანი“ 22:16, „ყოჩები“ — „ქორები“ 3:10, „ვესტა“ — „თბილისი“ 66:16; „შევარდენი“ — „თბილისი“ 35:11.

მეორე ჯგუფი. „აკადემია“ — „შევარდენი II“ 3:37, „უნივერსიტეტი“ — „რაში“ 10:7 „აიეტი“ (ქუთაისი) — „აია“ II (ქუთაისი) 20:3, „შევარდენი“ II“ — „უნივერსიტეტი“ 30:3, „ივერია“ — „აკადემია“ 36:0, „აკადემია“ — „ხაშური“ 32:7, „უნივერსიტეტი“— „ივერია“ 6:49, „შევარდენი“ II — „რაში“ 37:13.

საშვიდკაცო მსოფლიო პირველობის შესარჩევ შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების მიერ განცდილი მარცხის შემდეგ ჩვენს სარაგბო საზოგადოებრიობას გაზაფხულამდე ერთადერთ ნუგეშად და თავის შესაქცევად ეროვნული ჩემპიონატიღა დარჩა, მაგრამ ისევე როგორც შარშან, წელსაც ეს შეჯიბრება ჯახირ-ჯახირ მიმდინარეობს.

საქმე ისაა, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად მორაგბეთა ჩემპიონატის ორგანიზატორებმა მაინც გრანდიოზული და მარათონული პირველობის გამართვა დაგეგმეს. არადა, ჯერ კიდევ შარშანდელი პირველობის ფინიშზე გუნდების უმეტესობის მოთხოვნით გადაწყდა, რომ ახალი სეზონიდან ამერსა და იმერში ცალ-ცალკე გაიმართებოდა საკლუბო შეჯიბრებები, თვეგამოშვებით კი ამერისა და იმერის ნაკრებები გაითამაშებდნენ „ამერ-იმერის შერკინებას“.

მერე რაღაცა მანქანებით, გუნდების უმეტესობის უკითხავად, ამერ-იმერი ისევ გაერთიანდა უმაღლეს დონეზე, ანუ პირველ ჯგუფში, „ამერ-იმერის შერკინება“ კი გაუქმდა — თითქოს ვიღაცას ეუკადრისება ან მკრეხელობად მიაჩნია ჩვენში რაგბის იმგვარად მოწყობა, ჩვენზე ყოველმხრივ მოწინავე ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკასა თუ ახალ ზელანდიაში ოდითგანვე რომ აქვთ წესად დადგენილი.

ჰოდა, მოახლოვდა ახალი სეზონი და გამოირკვა, რომ უსახსრობის გამო თურმე დაშლილან ან დაშლის პირს მიმდგარან ჩოხატაურის, ჭიათურისა და წყალტუბოს გუნდები. ვერც ახალბედა ლანჩხუთელებმა დაადგეს თავი საქმეს. დაიწყო შეჯიბრება და შეიქნა ჩვეული ქაოსი. სამი არასრული ტურის გამართვა ძლივს მოესწრო და დატრიალდა გაგრის ტრაგედია. განუსაზღვრელი ვადით გადაიდო სამი სრული ტური. ამასობაში „ყოჩებმა“ და ჭიათურელებმა ფრონტს მიაშურეს.

მერე განახლდა შეჯიბრება, მაგრამ ისევ სამხედრო მიზეზთა გამო „ქორებმა“ გუნდი ვერ შეკრიბეს, უბენზინობამ კი „ჯანი“, „აია“ და „ერქვანი“ ლიხსაქეთ არ „გადმოუშვა“. სტუმართა უიმედოდ მომლოდინე ორმა თბილისურმა გუნდმაც ისევ ერთურთთან თამაში არჩია.

ერთი სიტყვით, „გრანდიოზული“ შეჯიბრება ჩაშლის პირსაა. ერთადერთი გამოსავალი ისევ და ისევ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური დოგმების უარყოფა და გუნდების სურვილის გათვალისწინებაა. მავანთა წინააღმდეგობის მიუხედავად ახლა კი ალბათ წინ ვეღარაფერი დაუდგება ამერ-იმერად გაყოფას, რაც რატომღაც ოდენ კუთხურობის გამოვლინებად აღიქმება და არა ქართული რაგბის გადარჩენის ერთადერთ საშუალებად. დიახ, უბენზინობა მართლაც რომ ძლიერი საბუთი ყოფილა!

ცხრილების წინათქმად. დღემდე მოხერხდა 18 თამაშის გამართვა: 15 მოეწყო თბილისში (ყველა, ერთი-ორის გამოკლებით — ქალაქის ცენტრთან ახლოს მდებარე ვაკის სტადიონზე, ორი — რუსთავში, ერთი — ქუთაისში. თბილისის „ლელო“, ჭიათურის „იმერეთი“ და ონის „ბუბა“ შეჯიბრებაში ჯერაც ვერ ჩაბმულან, „ჯანი“-„აიას“ თამაშის ანგარიშს კი თბილისამდე ჯერაც ვერ მოუღწევია.

პირველი ჯგუფი

შევარდენი	3	3	0	0	72:37	6
ვესტა	2	2	0	0	80:19	4
ამირანი	3	2	0	1	64:46	4
ერქვანი	2	1	0	1	38:22	2
ქორები	2	1	0	1	10:25	2
ხარები	3	1	0	2	38:37	2
ყოჩები	1	0	0	1	3:10	0
თბილისი	4	0	0	4	43:152	0

მეორე ჯგუფი — ამერი

შევარდენი II	3	3	0	0	104:19	6
ივერია	2	2	0	0	85:6	4
აკადემია	3	1	0	2	35:80	2
უნივერსიტეტი	3	1	0	2	19:86	2
ხაშური	1	0	0	1	7:32	0
რაში	2	0	0	2	20:47	0

მეორე ჯგუფი — იმერი

აიეტი	1	1	0	0	20:3	2
აია II	1	0	0	1	3:20	0

ზაზა ფხაკაძე

ფუძემდებელი

თიკანაძის სკოლის მადლი

საქართველოს სპორტს ასეთი მომამაგე თითებზე ჩამოსათვლელი ჰყავს. ეს ის ხალხია, ვინც ქართული სპორტის ისტორიას მყუდრო კაბინეტებში კი არ ქმნიდა, არამედ სტადიონებზე, დარბაზებში, იქ, სადაც ახალგაზრდობა ირეოდა და ამ ხალხის ცოდნა-გამოცდილება ყველაზე მეტად საჭირო იყო.

ძნელია მიხეილ თიკანაძის წარმოდგენა სარბიელს მიღმა, აკადემიურ სიტუაციაში. თუმცა ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ისეთივე ბრძენკაცი და მოაზროვნე იყო, როგორც სპორტში. ბატონი მიხეილი (ახალგაზრდობა მას უფრო მარტივად მიმართავდა — ძია მიშა) სპორტის მომამაგეთა იმ თაობას განეკუთვნება, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული სპორტის ძლიერებას. თვითონ, ეს სხვათა შორის, პირად საუბარში ხშირად უთქვამს, თავს გიორგი ეგნატაშვილისა და გიორგი ნიკოლაძის მოწაფედ თვლიდა. ისინი ქართული სინამდვილის თვალსაჩინო მოამაგეებად მიაჩნდა და მათთან სულიერი სიახლოვე ეამაყებოდა.

ადამიანის ცხოვრება მისი ნაღვაწით ფასდება. ბატონი მიხეილის ნამოქმედარის შესაფასებლად ჯერ მარტო ვახტანგ ბალავაძის სახელის გახსენებაც კმარა, რომ არაფერი ვთქვათ ჩემპიონთა, პრიზიორთა და მომავალ მწვრთნელთა იმ გრძელ ნუსხაზე, რომელიც ამ ამაგდარი კაცის მრავალწლიან საქმიანობას ამშვენებს. იმათზე, ვისაც მიხეილ თიკანაძის ხელში გაუვლია, ამბობენ და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ჭიდაობის ყველაზე საპატიო სკოლა აქვთ გავლილიო. ასეთი ფასი ჰქონდა ამ ყოველმხრივ შემკულ ოსტატის შეგირდობას.

ბატონ მიხეილს ოფიციალური ტიტულები ბლომად ჰქონდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ღვაწლი ცხოვრებაშივე დაუფასდა. ამას უფრო ნათლად მისი მოღვაწეობის სფერო ამტკიცებს. იგი იყო დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მოღვაწე, უმაღლესი კატეგორიის მსაჯი, ნაკრები გუნდის მრავალგზის ხელმძღვანელი, ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგი, სპეციალიზებული სკოლის დირექტორი, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთ ადამიანში თავმოყრილი იყო დიდი თეორიული ცოდნა, პრაქტიკოსის ღრმა ეროვნული მოღვაწის სული. დიახ, მიხეილ თიკანაძის გამორჩეულ თვისებათაგან ერთ-ერთი უმთავრესი გახლდათ ის, რომ სპორტს ეროვნული პოზიციებიდან უდგებოდა და ჭიდაობა ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებად მიაჩნდა.

ქართული საჭიდაო სკოლის ფუძემდებელი, მთელი ცხოვრების მანძილზე იმის ცდაში იყო, მსოფლიოში გაეტანა ჩვენი ფალავნების მკლავისა და მუხლის ძალის ამბავი. თავისი აღსაზრდელების უმნიშვნელო წარმატებებით უზომოდ ხარობდა და ცხოვრების მიზნად მიაჩნდა ისეთი ოსტატების აღზრდა, რომლებიც მსოფლიო სარბიელზე უსათუოდ დატოვებდნენ კვალს. ვახტანგ ბალავაძის საქვეყნო აღიარება მისი შემოქმედების გვირგვინი იყო, მაგრამ ბატონმა მიხეილმა ფალავანთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ლაშქარი აღზარდა. მათი სახელები ნებისმიერი ქვეყნის სპორტულ ძლიერებას დაამშვენებდა: ანდრო ჰელიძე და ვარლამ გიგიაძე, ვლადიმერ არსენიანი და სპარტაკ ქარსაულიძე, ტარიელ ალიბეგაშვილი და ზურაბ დენტოშვილი, ვალერიან ბათლიძე და გიორგი გზირიშვილი, უშანგ ბარნაბიშვილი და ალექსანდრე მაისურაძე, დავით ჩაჩანიძე და კიდევ ორასამდე სპორტის ოსტატი.

ამ სიას დავუმატებთ კიდევ იმას, რომ თიკანაძის აღზრდილები — წარსულში ცნობილი მოჭიდავენი: გიორგი ვარძელაშვილი, ბიძინა მაზიაშვილი, ილია ჩხარტიშვილი, ნოდარ ოყრომიძე, ირაკლი ბიბილეიშვილი თავადაც დაფასებული აღმზრდელები გახდნენ...

ვინ უწყის, საით წავიდოდა ქართული სპორტი, განვითარების როგორ გზას აირჩევდა, ასეთი ადამიანები რომ არ ჰყოლოდა დამკვალიანებლად.

მეთოდისტის ხსოვნას მიეძღვნა

თბილისში „შევარდენის“ საქალაქო საბჭოს თაოსნობით მოეწყო ტურნირი მინიფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა თბილისის საიუველირო ქარხნის ფიზკულტურის მეთოდისტის ვლადიმერ იაშვილის ხსოვნას. იგი 1991 წლის 22 დეკემბერს დაიღუპა რუსთაველის პროსპექტზე.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ივერია“ (მაუდ-კამვოლის კომბინატი „საქართველო“) და „შევარდენი“ (საავიაციო საწარმოო გაერთიანება). დამატებითი პენალტებით გაიმარჯვეს „შევარდენის“ ფეხბურთელებმა — 6:5.

ვიქტორ ბუკია

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ყველაფერი გერმანელთა შესახებ

(გინესის წიგნის მიხედვით)

● **გერდ მიულერმა** მსოფლიო პირველობათა მატჩებში 14 გოლი გაიტანა: 1970 წელს მექსიკაში — 10, მომდევნო მსოფლიო პირველობაზე კი გფრ-ში — კიდევ 4.

● **უვე** ზეელერმა (პოლონელ ვლადისლავ ჟმუდასთან ერთად) მსოფლიო პირველობებზე მატჩების სარეკორდო რაოდენობა ჩაატარა — 21.

● **გფრ-ის** ფეხბურთელებმა 1954 წლიდან მოყოლებული ცხრაჯერ ითამაშეს მსოფლიო პირველობათა ნახევარფინალსა და ექვსჯერ — ფინალში. 1954, 1974 და 1990 წლებში ისინი მსოფლიო ჩემპიონები გახდნენ.

● **უდო ლატეკს,** როგორც საკლუბო მწვრთნელს, ყველაზე დიდი წარმატებები აქვს არა მარტო გფრ-ში, არამედ ევროპაშიც. მიუნხენის „ბაიერნთან“ ერთად მან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა, „ბარსელონაში“ — თასების მფლობელთა თასი, მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ კი უეფას თასი. გარდა ამისა, გუნდები, რომელთაც უ. ლატეკი ხელმძღვანელობდა, რვაჯერ გახდნენ გფრ-ის ჩემპიონები და სამჯერ ეროვნულ თასს დაეუფლნენ.

● **გფრ-ის** ნაკრებს სხვებზე წარმატებით ჰელმუტ შიონი წვრთნიდა: მისი ხელმძღვანელობით გუნდმა 5 მსოფლიო პირველობაზე ითამაშა, 1974 წელს ჩემპიონობა მოიპოვა, 1966 წელს მეორე იყო, 1970 წელს — მესამე. 1972 წელს „შიონის გუნდი“ ევროპის ჩემპიონიც გახდა.

● **ბუნდესლიგაში** გატანილი გოლების რაოდენობით რეკორდსმენად გერდ მიულერი რჩება. იგი ლიგის პირველი სნაიპერი იყო 1967, 1969, 1970, 1972, 1973, 1974 და 1978 წლებში. მიულერი ნაკრების უპირველესი სნაიპერიც გახლდათ და 62 მატჩში 68 გოლი გაიტანა!

● **ყველაზე** მეტჯერ ნაკრებში ითამაშა ფრანც ბეკენბაუერმა (103 მატჩი). შემდეგ მოდიან ბერტი ფოგტსი (96) და ზეპ მაიერი (93). ბეკენბაუერი ოთხჯერ აღიარეს ქვეყნის №1 ფეხბურთელად (1966, 1968, 1974 და 1978 წლებში), ხოლო უვე ზეელერი და ზეპ მაიერი — სამსამჯერ.

● **ყველაზე** მეტი მატჩი (568) ბუნდესლიგაში უთამაშია „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ მცველს მანფრედ კალცს. ზეპ მაიერს სხვა რეკორდი ეკუთვნის მიუნხენის „ბაიერნში“, მან შეუცვლელად ითამაშა ზედიზედ 442 მატჩი.

● **ყველაზე** სწრაფად მსოფლიო ფეხბურთში გოლი გაიტანა ერიხ შტარცინგერმა („ფკ ალტენმური“) — „ფკ ლანგფურტთან“ შეხვედრაში — თამაშის მეორე წამზე! ეს 1979 წლის 22 აპრილს მოხდა. რაც შეეხება ბუნდესლიგას, აქ უსწრაფესი გოლის „ავტორია“ რონალდ ვორმი („დუისბურგი“). „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“ შეხვედრაში 1974 წლის 12 ოქტომბერს მან მე-15 წამზე გახსნა ანგარიში!

● **ყველაზე** უფრო შორი მანძილიდან — 102 მეტრიდან „დარმშტადტის“ მეკარემ ვილჰელმ ჰუქსჰორნმა გაიტანა გოლი კიოლნის „ფორტუნას“ კარში (1985 წლის 27 აპრილს).

მოამზადა გივი გამრეკელმა

არგენტინელები — პირველნი

საუდის არაბეთის სტადიონებზე გაიმართა საკონტინენტთაშორისო ჩემპიონატი ფეხბურთში. გათამაშების ბოლო დღეს არგენტინელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს აზიის ჩემპიონი, საუდის არაბეთის გუნდი. გამარჯვებულებს გადასცეს ოქროს მედლები, ჩეკები 150 ათას დოლარზე, აგრეთვე, ძვირფასი ნაკეთობა „მეფე ფახდის თასი“. მეორე ადგილზე გასული საუდის არაბეთის ფეხბურთელები მიიღებენ 50 ათას დოლარს თითოეული.

მესამე ადგილისთვის ერთმანეთს შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი და აფრიკის კონტინენტის ჩემპიონი კოტ დივუარის ნაკრები. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს აფრიკელებმა.

ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს არგენტინელი ფერნანდო რედონდო. ევროპელებს ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

გაიმართა ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების II წრის პირველი მატჩები.

ჩემპიონთა თასი

მერვედფინალი

ცსკა (მოსკოვი, რუსეთი) — „ბარსელონა“ (ესპანეთი) 1:1

„სიონი“ (შვეიცარია) — „პორტო“ (პორტუგალია) 2:2

„ბრიუგე“ (ბელგია) — „აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) 2:0

„დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) — „ოლიმპიკი“ (მარსელი, საფრანგეთი) 0:0

„გლაზგო რეინჯერსი“ (შოტლანდია) — „ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) 2:1

„სლოვანი“ (ბრატისლავა ჩეხეთ-სლოვაკეთი) — „მილანი“ (იტალია) 0:1

აეკ (ათენი, საბერძნეთი) — პსვ „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) 1:0

„გეტებორგი“ (შვეცია) — „ლეხ“ (პოზნანი, პოლონეთი) 1:0

თასების მფლობელთა თასი

მერვედფინალი

„ტრაბზონსპორი“ (თურქეთი) — „ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) 0:2

„ორჰუსი“ (დანია) — „სტიაუა“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 3:2

„ადმირა-ვაკერი“ (ავსტრია) — „ანტვერპენი“ (ბელგია) 2:4

„ლიუცერნი“ (შვეიცარია) — „ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) 1:0

„ვერდერი“ (ბრემენი, გერმანია) — „სპარტა“ (პრაღა, ჩეხეთ-სლოვაკეთი) 2:3

„მონაკო“ (საფრანგეთი) — „ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) 0:1

„პარმა“ (იტალია) — „ბოავიშტა“ (პორტუ, პორტუგალია) 0:0

„სპარტაკი“ (მოსკოვი, რუსეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი) 4:0

უეფას თასი

მეთექვსმეტედფინალი

„რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „ტორპედო“ (მოსკოვი, რუსეთი) 5:2

„ანდერლეჰტი“ (ბრიუსელი, ბელგია) — „დინამო“ (კიევი, უკრაინა) 4:2

„ნაპოლი“ (იტალია) — „პარი სენ-ჟერმენი“ (საფრანგეთი) 0:2

„ვიტესი“ (არნემი, ჰოლანდია) — „მეჰელენი“ (ბელგია) 1:0

„კაიზერსლაუტერნი“ (გერმანია) — „შეფილდ უენსდეი“ (ინგლისი) 3:1

„ბორუსია“ (დორტმუნდი, გერმანია) — „სელტიკი“ (გლაზგო, შოტლანდია) 1:0

„აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გერმანია) — „გალათასარაი“ (სტამბოლი, თურქეთი) 0:0

„ჰართ ოვ მიდლოუშნი“ (შოტლანდია) — „სტანდარდი“ (ლიეჟი, ბელგია) 0:1

„ოსერი“ (საფრანგეთი — კბ „კოპენჰაგენი“ (დანია) 5:0

„პანათინაიკოსი“ (ათენი, საბერძნეთი) — „იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) 0:1

„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „ვაც იზო“ (უნგრეთი) 5:1

„ფენერბახჩე“ (სტამბოლი, თურქეთი) — „სიგმა“ (ოლომოუცი, ჩეხეთ-სლოვაკეთი) 1:0

„რომა“ (იტალია) — „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) 3:0

„ვიტორია“ (გიმარაეში, პორტუგალია) — „აიაქსი“ (ამსტერდამი, ჰოლანდია) 0:3

„ფრემი“ (კოპენჰაგენი, დანია) — „რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) 0:1

„ტორინო“ (იტალია) — „დინამო“ (მოსკოვი, რუსეთი) 1:2.

ყველა ვერ შესწვდა...

„შევარდენისა“ და „მართვეს“ 15 კოლექტივი, აგრეთვე, სომხეთის რამდენიმე სპორტსმენი ჩაება მძლეოსანთა იმ შეჯიბრებაში, რომელიც ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ჩაატარა ამ სახეობის საქართველოს ფედერაციამ. მონაწილეთათვის, რომლებიც მსოფლიო კლასიფიკაციის გარკვეულ ნორმატივს შეასრულებდნენ, გვარიანი ფულადი ჯილდო იყო დაწესებული. სამწუხაროდ, სულ ორ ათლეტს ეყო ძალა მიზნისთვის მიეღწია: ერევნელ სამხტომელს არმენაკ მარტიროსიანს (16,74 მ.) და თბილისელ უროსმტყორცნელ იოსებ შავერდაშვილს (72,30 მ.). შესაძლოა მათთვის მხარი აებათ სპრინტერ მაია აზარაშვილს და ბადროსმტყორცნელ ნინო ონაშვილს, მაგრამ ისინი ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ ობიექტურ მიზეზთა გამო. შავერდაშვილსა („შევარდენი“) და მარტიროსიანს 2000-2000 მანეთი გადაეცათ.

მათ გარდა სტუმარ-მასპინძლებიდან კიდევ თითო მონაწილე შესწვდა ოსტატის ნორმატივს: თბილისელი ბირთვისმკვრელი ელვირა ურუსოვა („შევარდენი“) — 16,76, და ერევნელი ბადროსმტყორცნელი გენადი ბარსეგიანი — 56,18 მ. გუნდურ ტურნირში ყველას აჯობა „შევარდენის“ I-მა კოლექტივმა. II და III ადგილები ერგოთ „მართვეს“ I და II ნაკრებებს. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი „მართვემ“ საგრძნობლად ჩამოიტოვა „შევარდენი“.

გაგაცნობთ სხვა გამარჯვებულებს. **ქალები. რბენა 100 და 200 მ.** თამარ შანიძე („შევარდენი“) — 12,2 და 26,4. **400 მ.** მაია ხიდაშელი — 57,3, **800 და 1500 მ.** თეა გილაშვილი — 2.30,5 და 5.14,4, **თარჯრბენი. 100 მ.** იანა ბურკოვა (სამივე — „მართვე“) 19,5. **400 მ.** მაია ხიდაშელი—1.02,5. **5 კმ სპორტული სიარული.** თეა ყარყარაშვილი — 31,32,3. **ხტომა: სიმაღლეზე.** ლელა ბურდული — 165 სმ; **სიგრძეზე.** ეკა გათაშვილი— 475 სმ. **ბადროს ტყორცნა.** მარინე ონაშვილი — 39,14 მ. **შუბის ტყორცნა.** მაკა ტაბუციძე (ყველა — „მართვე“) — 47 მ. **ესტაფეტა 4X100 და 4X400 მ.** „მართვე“ I — 54,5 და 4.36,4.

ვაჟები. რბენა. 100 მ. არმენ მურადიანი (სომხეთი) — 10,8. **200 და 400 მ.** კონსტანტინე სკორიკი („მართვე“) — 23,0 და 50,0. **800 მ.** ოლეგ ხოხლოვი — 1.56,2; **1500 მ.** ზიგმუნდ ზილბერშტეინი (ორივე — „შევარდენი“) — 3.55,8. **5000 მ.** გიორგი ხარაზიშვილი (პირადი) — 15.52,2. **10.000 მ.** შალვა ნადირაძე (ქართველ მაშველთა კორპუსი) — 33.06,6. **3000 მ. წინაღობებით.** ზილბერშტეინი — 9.33,8. **10 კმ სპორტული სიარული.** ნუკრი ვალიშვილი — 47.56,9. **თარჯრბენი. 110 მ.** კახა ფუტკარაძე (ორივე—„მართვე“)—16,3. **400 მ.** ართავაზ ნერსესიანი („შევარდენი“) — 54,9. **ხტომა: სიმაღლეზე.** კონსტანტინე ნევრეცკი („მართვე“) — 185 სმ; **სიგრძეზე.** მარტიროსიანი (სომხეთი) — 743 სმ. **ბირთვის კვრა.** ზაზა გიგიაძე („მართვე“) — 12,18 მ. **შუბის ტყორცნა.** ბექან ვარდანიძე („შევარდენი“) — 63,36, მ. **ესტაფეტა 4X100 მ.** „მართვე“ I — 45,4. **ესტაფეტა 4X400 მ.** „მართვე“ I — 3.47,4.

თბილისის განათლების სამმართველოს გ. ეგნატაშვილის სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სპორტული ტანვარჯიშის სპეციალიზირებული სპორტული სკოლა აცხადებს, ახალი სასწავლო წლიდან 1986-87 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა მიღებას (გოგონები, ბიჭები)

მოსწავლეთა შერჩევა ყოველდღე (კვირის გარდა) 10 საათიდან 12 საათამდე და 18 საათიდან 20 საათამდე.

მისამართი: პეტრიაშვილის ქ. № 7.

დირექცია

„მინდა ვითამაშო რაც შეიძლება უკეთ“...

ვერაფრით ვერ მოახერხა დიდ ჩოგბურთში დაბრუნება უიმბლდონის ხუთგზის და საფრანგეთის ღია ჩემპიონატში ექვსგზის გამარჯვებულმა შვედმა ბიორნ ბორგმა. წლეულს 36 წლის ჩოგბურთელმა რვაჯერ აიღო სტარტი სხვადასხვა ტურნირში და რვაჯერვე გამოეთიშა ასპარეზობას პირველივე წრეში. ასე რომ, სენსაციური დაბრუნება სპორტში, სხვა თუ არაფერი, მორიგი ბლეფი გამოდგა.

ნიუ-იორკში სპეციალურად მისთვის მოწყობილ პრეს-კონფერენციაზე ჩოგბურთელმა განაცხადა:

— არასოდეს მიცდია ჩოგბურთში დაბრუნება. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ მე გადავწყვიტე ხელახლა დავიწყო ჩოგბურთის თამაში.



● რა განსხვავებაა ამაში?

— თუ კაცი მართლა აპირებს ჩოგბურთში დაბრუნებას, მან ყოველ კვირას უნდა ითამაშოს რომელიმე ტურნირში. ამას ჩემზე ვერავინ იტყვის.

● გამოდის, რომ ჩოგბურთს არა აქვს თქვენთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა?

— მართალი ბრძანდებით. მე მყავს 7 წლის ვაჟიშვილი რობინი, რომელიც ცხოვრობს შვეციაში. წლეულს იგი პირველად წავიდა სკოლაში. აი, ვის აქვს პრიორიტეტული მნიშვნელობა. რობინი ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ჩოგბურთი.

● ხომ არ გეჩვენებათ, რომ 1983 წელს, როცა გადაწყვიტეთ თავი დაგენებებინათ ჩოგბურთისთვის, ოდნავ აჩქარდით? თქვენ ხომ მაშინ მხოლოდ 26 წლისა იყავით.

— მაშინ დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ჩოგბურთს არაფერი მოჰქონდა ჩემთვის დაღლილობის გარდა. მე დასვენება მჭირდებოდა და ამდენად არ მიმაჩნია, რომ არასწორად მოვიქეცი.

● წლის დასაწყისში, როცა ცნობილი გახდა თქვენი გადაწყვეტილების შესახებ, ამბობდნენ, რომ ბორგი ჩოგბურთში ბრუნდება, რათა ფული გააკეთოს. თქვენი კომერციული საქმიანობა მართლაც წარუმატებელი გამოდგა და მილიონიანი ვალი დაგედოთ.

— მართალია, ფინანსური თვალსაზრისით ბედი არასდროს მწყალობდა, მაგრამ ტყუვდება ის, ვინც ფიქრობს, რომ მე საბოლოოდ გავკოტრდი და ჩოგბურთი ლუკმა პურის საშოვნელად მჭირდება.

● გამრდის, „რომ“ თქვენ სიამოვნებისთვის თამაშობთ. მაგრამ რა სიამოვნებაა, როცა სუპერ-ჩოგბურთელი რვა ტურნირს პირველსავე წრეში ეთიშება?

— გულშემატკივრები ჩემგან შეუძლებელს ელიან. მე რვა წელია არ მითამაშია ჩოგბურთი. ამ ხნის განმავლობაში ეს სპორტი წინ წავიდა, მე კი, უკეთეს შემთხვევაში, ერთ ადგილს ვტკეპნიდი. ბუნებრივია, პირველ რიგში საკუთარი თავისადმი რწმენა დავკარგე. ახლა ნელ-ნელა ვიბრუნებ რწმენას. დღეს გაცილებით უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ნახევარი წლის წინ და, რაც მთავარია, ამ თამაშით უდიდეს სიამოვნებას ვიღებ.

● რა ამოცანას ისახავთ მიზნად?

— ჩემს ასაკში კაცი რეალისტი უნდა იყოს. მაშინ შეიძლება მოვლენები ფილოსოფიურად შეაფასო. მე კარგად ვიცი, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი ველარასოდეს გავხდები. სწორედ ამიტომ, ნებისმიერ დამარცხებას სევდიანი ღიმილით ვიღებ. წინათ მარცხი ქვეყნის დასასრული მეგონა. რა ამოცანას ვისახავ მიზნად? მინდა ვითამაშო ჩოგბურთი რაც შეიძლება უკეთ.

● ესე იგი, წლევანდელი რვა დამარცხების მიუხედავად, ბიორნ ბორგი აგრძელებს ჩოგბურთის თამაშს?

— პროფესიონალთა ტურნირებში თამაშს გავაგრძელებ მანამ, სანამ არ მივადგები ყრუ კედელს და არ მივხვდები, რომ იქით უკვე გზა აღარ არის. ამავე დროს, ვითამაშებ ვეტერანთა ტურნირებში. იქ საკმაოდ კარგი კომპანიაა, ჩემთვის ახლობელი ხალხი იკრიბება: როსკო ტანერი, მარტი როსენი, პიტერ ფლემინგი, ბობ ლუტცი. მომავალი წლიდან შემოგვიერთდება ჯიმი კონორსი. სულ მალე მოეწყობა სამი ასეთი ტურნირი ჩიკაგოში, ლოს-ანჯელესსა და კორალსპრინგში. ყოველი მათგანის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. იქ ვითამაშებ როგორც ერთეულთა, ისე წყვილთა ტურნირებში, ასე რომ, თვალი ადევნეთ შედეგებს...

რედაქტორი

თენგიზ გაჩეჩილაძე

„დროის მანქანა“: ისევ ფიშერი, ისევ სპასკი

ისევ 8:4

მას შემდეგ, რაც ბორის სპასკის მოგებულ პარტიას ბობი ფიშერმა მოგებით უპასუხა და ანგარიში გახდა 8:4 ამერიკელი დიდოსტატის სასარგებლოდ, ბელგრადში მიმდინარე თანამედროვეობის გამოჩენილი მოჭადრაკეების „საუკუნის მატჩ-რევანშის“ მომდევნო პარტიაში მეტოქეებმა თავს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს და 26-ე სვლაზე დაზავდნენ. სამაგიეროდ, 23-ე პარტიაში გაჩაღდა უშეღავათო ბრძოლა. ფიშერს მიზნამდე ორადორი პარტიის მოგებაღა აშორებს და. ეტყობა, რაც შეიძლება მალე უნდა მიაღწიოს სასურველს, ამიტომაც მწვავედ თამაშობდა, მაგრამ სპასკიმ შეძლო ყველა შეტევის მოგერიება. პარტია 8 საათს გაგრძელდა და მე-80 სვლაზე ყაიმით დასრულდა. 24-ე პარტია, რომელიც ხუთშაბათს უნდა გათამაშებულიყო, არ შედგა სპასკის ავადმყოფობის გამო.

ვინ მიიღებს 60 ათასს?..

კიდევ ერთი საინტერესო საჭადრაკო ტურნირი მიუახლოვდა ფინიშს — ჰოლანდიის ქალაქ ტილბურგში დასრულდა მსოფლიოს გამოჩენილ დიდოსტატთა საერთაშორისო შეჯიბრების 4 ეტაპი. გაირკვნენ მეოთხედფინალისტები. ასპარეზობის თავისებურებაა ის, რომ წყვილები ყველა ეტაპზე ორ-ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს და გამარჯვებულები აგრძელებენ ბრძოლას. ევგენი სვეშნიკოვმა (რუსეთი) პირველმა მოიპოვა ნახევარფინალის საგზური, როცა ანგარიშით 1,5:0,5 დაამარცხა ინგლისელი მაიკლ ადამსი. სხვა სამ მეოთხედფინალურ მატჩში უკრაინელმა ვასილი ივანჩუკმა სძლია ამერიკელ გატა კამსკის, შვეიცარიელმა ვიქტორ კორჩნოიმ — ბელარუს ბორის გელფანდს, იუგოსლავმა პრედრაგ ნიკოლიჩმა — ისრაელელ ილია სმირინს. ამ ასპარეზობაში გამარჯვებულს 60 ათასი დოლარი ელოდება.

ტხლა— „იმედის თასზე“

სამივე თბილისის სპორტული პროფილის 101-ე საშუალო სკოლაში (დირექტორი რევაზ კუპრეიშვილი) სწავლობს, სამივე ნიკო არჩვაძისა და პეტრე აივაზოვის ხელმძღვანელობით ოსტატდება მაგიდის ჩოგბურთში და საკმაო წარმატებებსაც აღწევენ. ამას წინათ მათ დნეპროპეტროვსკის საერთაშორისო ტურნირზე მედლები მოიპოვეს, მანამდე კი, კრასნოდარში ლევან ბურკაძე რუსეთის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ჭაბუკთა პირველობაზე ერთეულთა თანრიგში მესამე ადგილზე გავიდა.

ლევანმა შესანიშნავად იასპარეზა დნეპროპეტროვსკში „თეთრი ელვას“ პრიზზე, რომლის მოსაპოვებლად ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა რესპუბლიკის სპორტსმენები იბრძოდნენ. აქ მან ფინალში კიეველი სოტნიჩენკო დაამარცხა და ოქროს მედალი დაიმსახურა, მაგრამ ამას როდი დასჯერდა: დათო სტეფანიასთან ერთად წყვილთა შეჯიბრების ფინალშიც გავიდა. თბილისელთა დუეტმა ადვილად სძლია მეტოქეებს და კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიკავა. ტურნირში მესამე ადგილი დაიკავა ვახტანგ იმერლიშვილმა — მან ბრინჯაოს მედლისთვის „დუელში“ კიეველ ალექსანდროვს „დააყრევინა ფარ-ხმალი“.

სულ მალე, ნოემბრის დამდეგს, ეს სამეული, აგრეთვე, პაატა ბარამაშვილი, ვერა ბარამიძე და მადლენა ქლენტი საქართველოს ღირსებას დაიცავენ ნიჟნი ნოვგოროდის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც, ამასთან, ევროპის 1993 წლის ჭაბუკებისა და გოგოების ჩემპიონატის შესარჩევი შეჯიბრებაა.

ეს ყველაფერი ჩვენს კორესპონდენტს აცნობა მაგიდის ჩოგბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდენტმა ბატონმა იური გონაძემ.

ინფორმაცია

● **აშშ-ის ოლიმპიურმა** კომიტეტმა ნიუ-იორკის ბირჟაზე ჩატარებული აუქციონის შემდეგ მიიღო 13 ათასი დოლარი, რომელიც „ატლანტა-96“-ის საორგანიზაციო კომიტეტის ფონდში ჩარიცხა. გაიყიდა სხვადასხვა ოლიმპიური რელიქვია, მათ შორის ჰოკეის ჯოხი, რომელზეც ხელი ჰქონდა მოწერილი ლეიკ პლესიდის თეთრი ოლიმპიადის ყველა ჩემპიონს. ამ სუვენირში კოლექციონერმა 2700 დოლარი გადაიხადა.

რესპუბლიკის სპორტისა და ტურიზმის სამინისტრო, საქართველოს განათლების სამინისტრო, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი

ირაკლი ბეგლარის ძე

გაჩეჩილაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში

აგრძელებს მიღებას 1992–93 სასწავლო წლისათვის დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე.

ტექნიკუმში დაუსწრებელ სწავლებაზე მიიღებიან საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი ასაკის მიუხედავად. სწავლის ვადა 3 წელია.

გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:

საერთო ფიზიკური მომზადება, ბიოლოგია (ზეპირი), მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა).

ტექნიკუმი ამზადებს შემდეგ სპეციალისტებს: ინსტრუქტორებს, ინსტრუქტორ-მეთოდისტებს, პედაგოგებს, პედაგოგ-ორგანიზატორებს, მწვრთნელ-მასწავლებლებს.

მისაღები გამოცდები ჩატარდება 5 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე.

ტექნიკუმში შემსვლელებმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: ატესტატი (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა № 86), 6 ფოტოსურათი (3X4), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), სპორტის საკვალიფიკაციო ბილეთი ან ცნობა თანრიგის მინიჭების შესახებ, პასპორტს, დაბადების მოწმობას და საბუთს სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ წარმოადგენენ პირადად.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის მიმღებ კომისიაში.

მისამართი: თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6. ტელ: 95-88-50, 95-30-06 (რკ. სადგურის მიმდებარე ტერიტორია).

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ვ. კოსტავას, 14, ტელ.: 99-56-47,, 99-81-71. ინდექსი 66485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „საშობლოს“ სტამბაში.